0-54

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1934 წლის მაისის 15	№ 9-10 განცალკევებული პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

მუხ. 88. „სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. იანვრის 7-ის დადგენილების აღსრულების შემოწმების შესახებ.

89. სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობის მდგომარეობისა და მათი განცხოველებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

90. მე-2 კვარტალში სახსართა მობილიზაციის შესახებ.

91. 1934 წლისთვის სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების შტატებისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ.

92. ამიერკავკასიის კარტოგრაფიული საწარმოს მოწყობის შესახებ.

93. მოიხმარებელთათვის ელექტრომიწოდების მოწესრიგების შესახებ.

94. სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის დაგეგმვისა, მეთვალყურეობისა და მათი გეგმების აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.

95. საქართველოს საჩაიო და სათამბაქოო რაიონებისა და „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტის სისტემის საჩაიო საბჭოთა მეურნეობების დაპრემიების შესახებ.

96. 1934 წელს კოლექტიურ მეურნეობებში მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობის შესახებ.

1573

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

88. „სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. იანვრის 7-ის დადგენილების აღსრულების შემოწმების შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის (ამხ. წ ულ უ კ ი ძ ე) მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების (ამხ. ა ლ ა ნ ი ა) თანამოხსენება სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. იანვრის 7-ის დადგენილების აღსრულების შემოწმების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხსენებული დადგენილება აქამდე შესრულებული არ არის მთლიანად არც ერთ რესპუბლიკაში, რომელიც-კი ა/კსფსრ შედგენილობაში შედის. ამ დადგენილების აღუსრულებლობა გამოიხატება იმაში; რომ

ა) არა ყველა სასოფლო საბჭოში შემოღებულია დამოუკიდებელი სასოფლო ბიუჯეტი;

ბ) ბევრ რაიონებში სასოფლო ბიუჯეტებს ადგენენ სარაიონო ცენტრებში სასოფლო საბჭოს უმონაწილეოდ (აზერბაიჯანის სსრ რაიონების უდიდეს ნაწილში და სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში);

გ) სარაიონო საფინანსო განყოფილებებში შედგენილი სასოფლო ბიუჯეტები უმეტეს შემთხვევაში მიწვდენილი არა აქვთ სასოფლო საბჭოებს და აღსრულებაში მოჰყავთ თვით სარაიონო საფინანსო განყოფილებებს;

დ) არ არსებობს ადგილებზე დამუშავებული და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული შემოსავალ-გასავლის განაწილება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და სასოფლო საბჭოებს შორის;

ე) სასოფლო საბჭოებს აქამდე მიწოდებული არა აქვთ დებულება სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შასახებ და ინსტრუქცია ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების შესახებ ნაციონალურ ენებზე;

ვ) სასოფლო საბჭოები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო კვალიფიკაციის მქონე საფინანსო მომუშავეებით, ხოლო ბევრ სასოფლო საბჭოებში ეს მომუშავეები სრულიად არ არიან;

ზ) მიღებული არ არის ღონისძიებანი სასოფლო ბიუჯეტის შედგენასა და აღსრულებაში სოფლის აქტივის ჩაბმისათვის;

თ) გაშლილი არ არის მუშაობა სასოფლო საბჭოების საფინანსო სექციებისა და სარევიზიო კომისიების უმეტეს ნაწილში;

ი) ხდება ხოლმე სახსარის არაკანონიერი ამორთმევა სასოფლო ბიუჯეტიდან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მომუშავეებისათვის დამატებითი სასყიდლის მისაცემად (აჭარისტანის ასსრ ხულოს რაიონი);

კ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები სახელმწიფო გადასახადების ანარიცხებს აძლევენ სასოფლო საბჭოებს არა იმ თანხების რაოდენობით, რაც მიღებულია ბიუჯეტის დამტკიცების დროს (აზერბაიჯანის სსრ-ში 1933 წლის ბიუჯეტით დანიშნული 23.345,7 ათასი მანეთის ნაცვლად, ფაქტიურად გადარიცხულია 16.496,8 ათასი მანეთი, ხოლო სომხეთის სსრ-ში—8.953,9 მან. ნაცვლად, გადარიცხულია 6.629,9 ათასი მან.);

ლ) სასოფლო ბიუჯეტის სახსარი ძალიან ხშირად იხარჯება მიღებისათანავე, სათანადო საკრედიტო დაწესებულებაში შეუტანლად.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად და ქვედა ბიუჯეტების განსამტკიცებლად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კოიიტეტების პრეზიდიუმებს:

1) გადაჭრით აღმოფხვრან სასოფლო ბიუჯეტების შედგენა და აღსრულება სარაიონო საფინანსო განყოფილებებში და ამ წესის დამრღვევნი აძლიონ სასტიკ პასუხისგებაში;

2) დაავალონ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—მიაწოდონ ერთი თვის ვადაზე ყველა სასოფლო საბჭოს როგორც დებულება საბიუჯეტო უფლებათა შესახებ, ისე ინსტრუქცია ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების შესახებ ნაციონალურ ენებზე, აგრეთვე საბუხჰალტრო და დამხმარე დავთრების ყველა ბლანკი არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 1-სა;

3) დაავალონ ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეს—შეუდგეს მუშაობას 1935 წლის საშემოსავლო წყაროებისა და ხარჯების ობიექტების განაწილებას—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1933 წ. მაისის 15-ს დამტკიცებული სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების საფუძველზე—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და თვითეულ სასოფლო საბჭოს შორის უწყებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ტერიტორიაზე—ისეთი ვარაუდით, რომ ეს განაწილება დამტკიცებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრის 1-სა და ეცნობოს თვითეულ სასოფლო საბჭოს არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 1-სა;

4) უზრუველჰყონ სასოფლო საბჭოები საჭირო კვალიფიკაციის მქონე საფინანსო მომუშავეებით, რისთვისაც უნდა შემოიღონ სისტემა სოფლის საბიუჯეტო მომუშავეთა კურსებზე მომზადებისა და გარდამზადებისა იმ სარაიონო ცენტრებში, სადაც იმყოფებიან საკმარისი კვალიფიკაციის მქონე საბიუჯეტო ინსპექტორები, და აგრეთვე გაადიდონ რესპუბლიკანური მოკლევადიანი კურსების მსმენელთა კონტიგენტები იმ რაიონებისათვის, რომელთა ცენტრებშიაც მოწყობილი არ იქნება კურსები სოფლის საფინანსო მომუშავეთა მოსამზადებ-

ლად; ამასთან ერთად გაძლიერებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ფინანსების საქმის სწავლება (სასოფლო ბიუჯეტის შედგენა და აღსრულება) საბჭოთა მშენებლობის რესპუბლიკანურ კურსებზე და უნდა მოეწყოს სოფლის მოანგარიშეშომუშავეთა მოსამზადებელი კურსები დემობილიზებული წითელარმიელებისათვის, როგორც რესპუბლიკანურ ცენტრებში, ისე ჯარის თავმოყრის რაიონებში;

5) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხელმძღვანელონ ღონისძიებანი სასოფლო საბჭოების საფინანსო სექციების მუშაობის განცხოველებისათვის, სასოფლო ბიუჯეტის შედგენისა და აღსრულების სამუშაოში სოფლის აქტივის ჩამბისათვის და სასოფლო სარევიზიო კომისიების მუშაობის გაძლიერებისათვის სასოფლო ბიუჯეტის აღსრულების შემოწმების ხაზით, რისთვისაც უნდა ჰგზავნონ სასოფლო საბჭოებში ბრიგადები აღნიშნული მუშაობის მოსაწყობად, უნდა შექმნან თვითეულ რაიონში სამაგალითო სასოფლო საბჭო როგორც სასოფლო ბიუჯეტის შედგენით, ისე ამ ბიუჯეტის აღსრულებით, და საამისოდ ფართოდ უნდა გამოიყენონ შრომის სოციალისტური მეთოდები—სოცშეჯიბრება და დამკვრელობა;

6) აღკვეთონ სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებით დანიშნული თანხების შეკვეცა, განსაკუთრებით სახელმწიფო გადასახადების და სახელმწიფო ფონდების ანარიცხებისა, და დაავალონ სარაიონო საფინანსო განყოფილებათ აძლიონ შემდგომში სასოფლო საბჭოებს თავის დროზე და სრულად ყველა თანხა, რაც სასოფლო ბიუჯეტს ერგება;

7) აუკრძალონ სასოფლო საბჭოებს ფულადი სახსარისა და ფასიანი ქაღალდების ხელში ან სასოფლო საბჭოს სალაროში შენახვა და აგრეთვე ხარჯების გაწევა უშუალოდ სასოფლო საბჭოს სალაროდან; სახსარის ხარჯვა უნდა სწარმოებდეს მირტოოდენ ჩეკებით სათანადო საკრედიტო დაწესებულების სახელზე; ამასთანავე, უკეთუ საკრედიტო დაწესებულება (შემნახველი სალარო) შორსაა, სასოფლო საბჭოს ყველა ხარჯი გაწეულ უნდა იქნეს იმ ავანსებიდან, რაც ეძლევა სასოფლო საბჭოს თსვმჯდომარეს განსაზღვრული ვადით და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით;

8) სასოფლო საბჭოებში გაუპიროვნებისა და უპასუხისმგებლობის ლიკვიდაციის მიზნით აუკრძალონ მოანგარიშეთ მოსახლეობისაგან სახსარის მიღება და ეს დააკისრონ სასოფლო საბჭოს მდივანს, ხოლო საკასსო დავთრისა და შემოსული სახსარის ნუსხის წარმოება—მოანგარიშეს;

9) სასოფლო საბჭოების მოანგარიშეთა დენადობის მოსპობის მიზნით, მოანგარიშეთა კურსებზე მსმენელთა შერჩევის დროს—მოეთხოვოს მათ ვალდებულების მიცემა, რომ ისინი მიმაგრებულ არიან სასოფლო საბჭოებში მუშაობაზე ვადით არა ნაკლებ 2 წლისა; ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნეს ღონის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებანი სასოფლო საბჭოების მოანგარიშეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. მაისის 17.
ტფილისი.

---

89. სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობის მდგომარეობისა და მათი განცხოველებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების (ამხ. დ. ალანია) მოხსენება და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის (ამხ. წულუკიძე) თანამოხსენება სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობის მდგომარეობისა და ამ მუშაობის განცხოველებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მეტისმეტად სუსტია სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობა, ხოლო მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში ეს კომისიები სრულიადაც არ არსებობენ, რომ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოები საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევენ ამ კომისიებს, ხოლო პროკურატურის და სასამართლოს ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ცალკეული სარევიზიო კომისიების მიერ გამოაშკარავებულ ბოროტმოქმედებათ.

მიმდინარე წელს ჩატარებული სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების დათვალიერების შედეგად დაეტყო რამოდენადმე გამოცოცხლება სარევიზიო კომისიებს ცალკეულ სასოფლო საბჭოებში, ხოლო მთლად ა/კსფსრ-ში სარევიზიო კომისიების მუშაობის საერთო მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

ზემოაღნიშნულის მიხედვით და იმ მიზნით, რათა მკვეთრი გარდატეხა მოხდეს სასოფლო საბჭოების სარევიზიო კომისიების მუშაობაში, რასაც ახლანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აღსრულების კონტროლის გაძლიერებასთან და სასოფლო საბჭოებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—განახორციელონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწრაფო ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობის ძირითად გაუმჯობესებას, რისთვისაც:

ა) უმოკლეს ვადაზე ხელახლად გამოსცენ დებულებანი სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ და პოპულარული ბროშურები მათი მუშაობის წესისა და შინაარსის თაობაზე, უზრუნველჰყონ-რა მათი მუშაობისათვის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო საფინანსო განყოფილებების და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ინსტრუქტორების მიერ საჭირო სისტემატური ინსტრუქტაჟისა და ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) მოაწყონ რაიონული მოკლევადიანი კურს-ემინარები სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა მომზადებისა და გარდამზადებისათვის;

გ) დაავალონ პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სარევიზიო კომისიების მიერ გამოაშკარავებულ ბოროტმოქმედებათ;

დ) მოაგვარონ სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობა, დაავალონ-რა მათ არა მარტო სასოფლო საბჭოების საფინანსო და სამეურნეო მუშაობის შემოწმება, არამედ აგრეთვე მეთვალყურეობის გაწევა მათი საქმიანობისათვის სასოფლო მეურნეობისა, კოოპერაციისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განსამტკიცებლად და განსავითარებლად სათანადო ღონისძიებათა განხორციელებისა და აგრეთვე სხვადასხვა კამპანიების (თესვისა, პურდამზადებისა და სხვა მისთ.) ჩატარების სფეროში.

ე) უზრუნველჰყონ სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობაში კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა ფართო აქტივის ჩაბმა და აგრეთვე ყოველმხრივ გამოიყენონ „მსუბუქი კავალერია“ ცალკეული გამოკვლევების ჩატარების დროს;

ვ) დააწესონ, რომ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში, სასოფლო საბჭოების მოხსენებების მოსმენასთან ერთად, მოსმენილ იქნეს აგრეთვე სარევიზიო კომისიების თანამოხსენებანი, და ფართო პრაქტიკად იყოს შემოღებული სარევიზიო კომისიების მიერ დამოუკიდებელი მოხსენებებისა და ანგარიშების წარდგენა ხასოფლო საბჭოების პლენუმისა და პრეზიდიუმისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მოაგვაროს თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების საფინანსო მუშაობისათვის სისტემატური ხელმძღვანელობის გაწევა.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1934 წ. მაისის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

90. მე-2 კვარტალში სახსართა მობილიზაციის შესახებ.

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ბრუნვის გადასახადის ხაზით:

1. ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულება მე-2 კვარტალში, 1934 წ. მაისის 1-თვის ქონებული ცნობების მიხედვით, გამოიხატება საკვარტალო გეგმის 31,5%-ის რაოდენობით (საქართველოს სსრ-ის 21 რაიონისა და ორი ავტონომიური რესპუბლიკის შესახები ცნობების ჩაუთვლელად), აღსრულების პროცენტის შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე: აზერბაიჯანის სსრ-ში—38%, სომხეთის სსრ-ში—34,1%, საქართველოს სსრ-ში—24,1% და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხაზით—24,9%.

2. მიიქცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი არ არის დადგენილ ვადაზე ცნობები მთელი რიგი რაიონებისა და ავტონომიების შესახებ, რაც შედეგია საანგარიშგებო დისციპლინის შესუსტებისა.

3. ჩაითვალოს არანორმალურ მოვლენად, რომ აზერბაიჯანის სსრ-ში დაგროვდა მეტად დიდი თანხა გადასახადის ნარჩენისა, რაც 1934 წ. მაისის 1-თვის აღწევს 11.888 ათას მანეთამდე; მიენდოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—იხმაროს ღონისძიებანი ნარჩენის ლიკვიდაციისათვის მაისის განმავლობაში,

4. აღინიშნოს—საკავშირო ბიუჯეტში შესასვლელი კომერციული წანაფასების გეგმების სუსტი აღსრულება რესპუბლიკებში (აზერბაიჯანის სსრ-ში—19,5%, სომხეთის სსრ-ში—22,4% და საქართველოს სსრ-ში—24,3%). წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მიაღწიონ მაისში მკვეთრ გარდატეხას, რამაც უნდა უზრუნველჰყოს კომერციული წანაფასების კვარტალური გეგმის შესრულება.

II. კულტგამოსაღების ხაზით სოფლად:

1. კულტგამოსაღების ნაშთის შემოსვლის გეგმის აღსრულება სოფლად (1934 წ. მაისის 1-თვის 34,1%-ის რაოდენობით) მიჩნეულ იქნეს არადამაკმაყოფილებლად, რაც იმის შედეგია, რომ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა შეასუსტეს ყურადღება მუშაობის ამ უაღრესი მნიშვნელობის მქონე დარგისადმი და მთელი მუშაობა კულტგამოსაღების ხაზით ა/კსფსრ მთელ რიგ რაიონებში ფაქტიურად მიანებეს თვიდენას. განსაკუთრებით აოადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს კულტგამოსაღების გეგმის აღსრულება აზერბაიჯანის სსრ-ში (23,2%).

2. მიღებულ იქნეს ცნობად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განცხადება, რომ სოფლად კულტგამოსაღების ნაშთების შემოსვლის გეგმის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებისათვის საჭირო მუშაობის აქტივიზაციის მიზნით კვლავ წარვლინებულ არიან რაიონებში: აზერბაიჯანის სსრ-ში —5 კაცი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან და წინადადება მიეცა აზერბაიჯანის სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ უზრუნველჰყოს ჩამორჩენილი რაიონები ცენტრის მომუშავეებით, რომელთაც დაევალოს არ დაბრუნდნენ რაიონებიდან გეგმების საბოლოო აღსრულებამდე; სომხეთის სსრ-ში—7 კაცი, მათ შორის ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან—1; საქართველოს სსრ-ში—16 კაცი, მათ შორის ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან—2 კაცი.

3. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) უზრუნველჰონ სოფლად კულტგამოსაღების მე 2 კვარტალის გეგმის აღსრულება მაისის განმავლობაში, აცნობონ-რა აღსრულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 1-თვის;

ბ) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს სავსებით შეუფარდონ სოფლად კულტგამოსაღების მენარჩენეთ იძულებითი გადახდევინების ღონისძიებანი;

გ) განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში მისცენ პასუხისგებაში ის პირნი, ვინც დამნაშავეა სოფლად კულტგამოსაღების ჩაშლაში, მათი გვარების გამოქვეყნებით პრესსაში;

დ) წინადადება მისცენ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—შეუფარდონ საფინანსო რეპრესიები რესურსების მობილიზაციის გეგმის ჩამშლელ რაიონებს;

ე) მოისმინონ ნამეტნავად ჩამორჩენილი რაიონების თავმჯდომარეთა მოხსენებანი რესურსების მობილიზაციის გეგმების აღსრულების შესახებ, კერძოდ—კულტგამოსაღებისა სოფლად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მოისმინოს ივნისის პირველ დეკადაში რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მოხსენებანი რესურსების მობილიზაციის გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ, კერძოდ—კულტგამოსაღებისა სოფლად, და წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

III. სესხებისხაზით:

მე-2 ხუთწლედის მე-3 წლის სესხის გადასახადების შემოტანისა და კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთათვის ობლიგაციების ნაღდად მიყიდვის საქმის მდგომარეობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად, რაც ამცირებს კამპანიის საერთო წარმატებას და ჰქმნის საფრთხეს მეორე კვარტალის გეგმის შეუსრულებლობისას; ამის გამო წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გააძლიერონ მუშაობა სოფლის მოსახლეობას შორის აღნიშნული სესხის გავრცელების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 10
ტფილისი.

91. 1934 წლისთვის სამეურნეო და კოპერატიული ორგანიზაციების შტატებისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნეს 1934 წლისთვის სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშიანი ორგანოებისა, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციებისა და აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი სატექნიკო სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები 2.100 ათასი მანეთით 1933 წელთან შედარებით.

2. დაევალოს ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებს და სამმართველოებს, აგრეთვე კოოპერატიულ ცენტრებს—შეამცირონ ერთი დეკადის ვადაზე მათი ქვემდებარე სისტემების სამეურნეო ანგარიშიანი რგოლეულების შტატები და ხარჯთაღრიცხვები—ისე, რომ აპარატის შემცირებამ უზრუნველჰყოს საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ფაქტიური შემცირება 1934 წელს არა ნაკლებ ისეთი რაოდენობისა, რაც განსაზღვრულია ამა დადგენილობაში.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა ჩაატარონ ორი დეკადის ვადაზე რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების (მძიმე და მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციების გამოკლებით) შტატების და ხარჯთაღრიცხვებისა, აგრეთვე კომუნალური და საქალაქო მეურნეობისა, განათლების სახალხო კოსისარიატებისა, ჯანმრთელობის სახალგო კომისარიატებისა, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა, ადგილობრივი სანებაყოფილო საზოგადოებათა და სხვა მისთ. სამეურნეო ორგანოების შტატების და ხარჯთაღრიცხვების შემცირება არა ნაკლებ, ვიდრე 10-15 პრნცენტის რაოდენობით 1933 წლისთვის დადგენილ შტატებთან შედარებით.

ამ სამეურნეო ორგანოების აპარატის შემცირებამ უნდა უზრუნველჰყოს საადმინინტრაციო-სამმართველო ხარჯების ფაქტიური შემცირება 1934 წლისთვის არა ნაკლებ, ვიდრე: აზერბაიჯანის სსრ-ში—750 ათასი მანეთისა, სომხეთის სსრ-ში—350 მან., საქართველოს სსრ-ში—850 ათასი მან. და ფედერატიული ორგანიზაციების ხაზით—150 ათასი მან. რაოდენობით.

4. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, სამმართველოს და კოოპერატიულ ცენტრს—წარუდგინოს ათი დღის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი შრომის გეგმისა 1934 წლისთვის—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიის დასკვნითურთ.

5. დაევალოს სახალხო კომისარიატებს, სამმართველოებს და კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებს,—სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 22-ის თარიღისა და 317 №-ის დადგენილების შესაბამისად,—1934 წელს თავიანთი სამეურნეო ორგანოების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების ჩატარების დროს,—დამატებით შეამცირონ 1—2 %-ით იმ ორგა-

ნიზაციების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები, რომელთაც 1932 წელს გადაამეტეს ეს ხარჯები ხარჯთაღრიცხვებს.

6. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატისა, სამმართველოს და კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელთ—გამოჰყონ სათანადო პირნი, რომელნიც პასუხმგებელ იქნებიან შტატებისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების განხორციელებისათვის მათ ქვემდებარე ორგანოებში.

7. ნება დაერთვას სახალხო კომისარიატებს და სამმართველოებს,—სამეურნეო ორგანოების ლიკვიდაციისა და უშუალოდ სახალხო კომისარიატისა თუ სამმართველოსათვის იმ საწარმოთა დაქვემდებარების შემთხვევაში, რომელნიც ლიკვიდირებული სამეურნეო ორგანოების შედგენილობაში შედიოდენ,—დამოუკიდებლად გაადიდონ სახალხო კომისარიატისა და სამმართველოს შტატები არა უმეტეს, ვიდრე იმ შტატის 50 %-ის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებული იყო ლიკვიდირებული სამეურნეო ორგანოსათვის.

8. დაეკისროს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისტემატური კონტროლის გაწევა ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

9. არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 20-სა მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა, სამმართველოებისა და კოოპერატიული ცენტრების მოხსენებანი—ამა დადგენილებით გათვალისწინებული, აპარატისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შედეგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 10
ტფილისი.

---

92. ამიერკავკასიის კარტოგრაფიული საწარმოს მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა კარტოგრაფიული საქმე გამოიყოს ამიერკავკასიის გეოლოგიურ-ჰიდრო—გეოდეზიური ტრესტის შედგენილობიდან და მოეწყოს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეოლოგიურ-ჰიდრო-გეოდეზიური სამმართველოს სრულიად საკავშირო კარტოგრაფიული ტრესტის ამიერკავკასიის კარტოგრაფიული საწარმო.

2. ა/კსფსრ-ის ყველა რუკის წარმოება, შედგენა და გამოცემა, მასშტაბის დამოუკიდებლად, თავმოყრილ იქნეს ამიერკავკასიის კარტოგრაფიულ საწარმოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილება (ოქმი № 10, § 3) კარტოგრაფიული საქმის მოწესრიგების თაობაზე დატოვებულ იქნეს ძალაში, გადაეცეს-რა ამა დადგენილებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი ამიერკავკასიის კარტოგრაფიულ საწარმოს.

4. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში დაამტკიცოს ერთი დეკადის ვადაზე ამიერკავკასიის კარტოგრაფიული საწარმოს დებულება, სტრუქტურა და შტატი და აგრეთვე 1934 წლის მუშაობის გეგმა—ისეთი ვარაუდით, რომ კარტოგრაფიული საქმე ა/კსფსრ-ში მაქსიმალურად იქნეს მოცული ამ მუშაობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 10.
ტფილისი.

---

93. მომხმარებელთათვის ელექტრომიწოდების მოწესრიგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის („გლავენერგოს") სარაიონო სადგურების მომხმარებელთათვის ელექტრომიწოდების მოწესრიგების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომასართა საბჭოს 1934 წ. მარტის 14-ის თარიღისა და 517 №-ის დადგენილების შესაბამისად და „სარაიონო და ადგილობრივი ელექტროსადგურების მომხმარებელთათვის ელექტრომიწოდების მოწესრიგების შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 23-ის დადგენილების შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. 12—13 №-ი, მუხ. 124)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაუცადებლად ელექტრომიწოდების უზრუნველეოფისა და ელექტროსადგურებზე ძალოვნების საჭირო რეზერვების დაზოგვის მიზნით—დაევალოს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა/კსფსრ-შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—წარუდგინონ ხოლმე ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დასამტკიცებლად სათანადო რესპუბლიკაში ელექტრომიწოდების კვარტალური გეგმები.

2. დაეკისროს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა ელექტრომიწოდების კვარტალური გეგმების თავის დროზე დასისწორით შედგენასათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სადგურებსა და მომხმარებელ-უწყებათა შორის აღძრული სადავო საკითხების გადასაწყვეტად მოწყობილ იქნეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში საუწყებათაშორისო კომისია სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მოადგილის თავმჯდომარეობით და ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისმრიატისა, სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში და ა/კ. რკინის გზების გამგეობის მუდმივ წარმომადგენელთა შედგენილობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 10.
ტფილისი.

---

94. სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის დაგეგმვისა, მეთვალყურეობისა და მათი გეგმების აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.

ვინაიდან არ არსებობს სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის ამიერკავკასიის ცენტრები—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის დაგეგმვა, მეთვალყურეობა და კონტროლის გაწევა მათ მიერ გეგმების შესრულებისათვის.

2. დაევალოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს წარუდგინოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით, სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის წლიური და ხუთწლიური გეგმების საკონტროლო ციფრები და სამრეწველო-საფინანსო გეგმები (წლიური და კვარტალური) სამრეწველო სახალხო კომისარიატებისათვის დადგენილ ვადებზე, შეუფარდოს-რა წინასწარ ეს ციფრები და გეგმები ნედლეულისა და კაპიტალური მშენებლობის ლიმიტების მხრით სათანადო სამეურნეო სახალხო კომისარიატებს.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებმა უნდა დაავალონ სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირებს—წარუდგინონ ხოლმე ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადებზე წლიური და ხუთწლიანი გეგმების საკონტროლო ციფრები და წლიური

და კვარტალური სამრეწველო-საფინანსო გეგმები და აგრეთვე წლიური, კვარტალური და თვიური საკონიუნქტურო ანგარიშგება.

4. დაეკალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს— მოაწყოს ერთი თვის ვადაზე სარეწაო კოოპერაციისა, სატყეო სარეწაო კოოპერაციისა, ინვალიდთა კოოპერაციისა და შინამრეწველობის სხვა ორგანიზაციების (სანებაყოფლო საზოგადოებათა სამრეწველო და სავაჭრო საწარმონი და სამრეწველო კოოპერატივები, რომელნიც სარეწაო კოოპერაციის სისტემაში არ შედიან) საკონიუნქტურო ანგარიშგება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 10.
ტფილისი.

---

95. საქართველოს საჩაიო და სათამბაქოო რაიონებისა და „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტის სისტემის საჩაიო საბჭოთა მეურნეობების დაპრემიების შესახებ.

ვინაიდან საქართველოს საჩაიო და სათამბაქოო რაიონებსა და „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტის საბჭოთა მეურნეობებს შორის განსაკუთრებით თავი იჩინეს და გამოავლინეს 1933 წლის საგეგმო დავალებათა შესრულებისა და გადამეტებით შესრულებისათვის ბრძოლის სამაგალითო შედეგები—ოზურგეთისა, გალისა, ქობულეთისა და ლანჩხუთის საჩაიო რაიონებმა, სოხუმისა და ლაგოდეხის სათამბაქოო რაიონებმა, და „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტის სისტემის დიდი-ჭყონისა, ხონისა, ჩაქვისა, ოჩხამურისა, ლაითაურისა და ლესეჩის საჩაიო საბჭოთა მეურნეობებმა,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაპრემიებულ იქნენ, კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მომუშავეთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით:

ა) სოხუმისა და ლაგოდეხის სათამბაქოო რაიონები—25.000 მანეთით თვითეული;

ბ) საჩაიო რაიონები: ოზურგეთისა—15.000 მანეთით, ქობულეთისა—15.000 მანეთით, გალისა—10.000 მანეთით და ლანჩხუთისა—10.000 მანეთით.

2. დაპრემიებულ იქნენ „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტის სისტემის შემდეგი საჩაიო საბჭოთა მეურნეობანი:

ა) დიდი-ჯიხაიშისა (დირექტორი ამხ. ვ. ც ა გ ა რ ე ლ ი)—10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით;

ბ) ხონისა (დირექტორი ამხ. ხ უ ბ უ ა)—10.000 მანეთით;

გ) ჩაქვისა (დირექტორი ამხ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი)—10.000 მანეთით;

დ) ოჩხამურისა (დირექტორი ამხ. ბ ე რ ი ძ ე)—10.000 მანეთით;

ე) ლაითაურისა (დირექტორი ამხ. მ ე ს ხ ი)—5.000 მანეთით·

ვ) ლესეჩისა (დირექტორი ამხ. მ ა ლ ლ ა ყ ე ლ ი ძ ე)—5.000 მანეთით.

3. სათამბაქოო და საჩაიო რაიონებისათვის გამოყოფილ სახსარს (მუხ. 1) კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ანაწილებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და პარტიის რაიონული კომიტეტები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 10.
ტფილისი.

---

96. 1934 წელს კოლექტიურ მეურნეობებში მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს 1933 წელს მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობისა და რემონტის გეგმის მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელ შესრულებას (მშენებლობის გეგმა შესრულებულია: აზერბაიჯანის სსრ-ში—61,2%-ით, სომხეთის სსრ-ში—79,4%-ით და საქართველოს სსრ-ში—78,2%-ით), რის გამოც კოლექტიური მეურნეობების მუშა-საქონლის თვალსაჩინო ნაწილი და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების პროდუქტიული საქონლის ასეთივე ნაწილი დარჩა საზამთროდ ძველ მოუგვარებელ სადგომებში.

მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობის ასეთი მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები და სარაიონო საადგილმამულო ორგანოები ყურადღებას არ აქცევენ და ხელმძღვანელობას არ უწევენ მეცხოველეობისათვის ბრძოლის ამ, უაღრესი მნიშვნელობის მქონე, მხარეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, 1934 წელს კოლექტიურ მეურნეობებში მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობის ჩატარებისა და დამთავრების უზრუნველყოფის მიზნით, ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების ახალი მშენებლობის შემდეგი გეგმა:

რესპუბლიკები	მერძ. სასაქ. ფერმები			მეღ. სას. ფერმები		მეც. სას. ფერმები		ტრაქტორ-ებ/ებ	სასილოსო ნაგებობანი.		ფერმების ელექტროფიკაცია.
	საქონ. ბაკები და სახბორ. (საქონელ-ადგილი ათასობით).	იზოლატორები (საქონელ-ადგილი ათასობით).	საღორეები (საქონელ-ადგილი ათასობით)	იზოლატორები (საქონელ-ადგილი ათასობით).	ქოშარი (საქონელ-ადგილი ათასობით).	საბანაოები (ცალობით).	იზოლატორები (საქონელ-ადგილი ათასობით).	ჰექტარ-ებ/ებ ბრუნვა-ში ან ფუყალსადგურების რაოდენობა.	გოდოლების რიცხვი (ორმოვები).	საერთო ტევადობა (ტონობით).	
აზერბაიჯანის სსრ	20,8	0,3	2024	0,1	40.0	4	1,6	13	23/455	3.450	3
სომხეთის სსრ	9,0	0,3	0,25	0,1	31,3	2	1,0	18	36/—	2.200	—
საქართველოს სსრ	9,65	0,2	2,5	0,1	2,15	4	1.0	20	—	7.180	2

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი გეგმა გარდამავალი მშენებლობისა, რაც უნდა დამთავრდეს 1934 წელს:

აზერბეიჯანის სსრ-ში.

საძროხეები . . . . . 2673 სულისთვის;
სახბორეები . . . . . 750 „
საღორეები . . . . . 1.706 „
მუშა-საქონლისთვის . . . . 699 „

ს ო მ ხ ე თ ი ს სსრ-ში.

საძროხეები . . . . . 2800 სულისთვის;
სახბორეები . . . . . 700 „
ქოშარი . . . . . 300 „
საღორეები . . . . 1.084 „

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სსრ-ში:

საძროხეები . . . . . 4.595 სულისათვის;
სახბორეები . . . . . 100 „
საღორეები . . . . . 584 „
ფარეხები . . . . . 1.000 „

2. 1934 წლის კრედიტებიდან გამოყოფილ იქნეს აღნიშნული მშენებლობისათვის შემდეგი თანხები: აზერბაიჯანის სსრ-ში—921.700 მან., სომხეთის სსრ-ში—675,700 მან. და საქართველოს სსრ-ში—626.500 სანეთი, სულ ა/კსფსრ-ში—2.223.900 მანეთი, საკუთარ საკოლმეურნეო სახსართა დაბანდებით: აზერაიჯანის სსრ-ში—6.892.300 მან(, სომხეთის სსრ-ში—2.456,500 მან. და საქართველოს სსრ-ში—5.029.200 მან., მთლად ა/კსფსრ—14.378.000 მან.

3. რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის ტრესტების ხაზით დამტკიცებულ იქნეს მშენებლობა აბრეშუმის ჭიის თესლის ქარხნებისა (აზერბაიჯანის სსრ-ში ერთი და საქართველოს სსრ-ში—ორი), პარკის სახმობებისა და აბრეშუმის ჭიის თესლის საცავებისა, აგრეთვე არსებული შენობების რემონტისათვის—2.5[illegible]5.[illegible]00 მან. რაოდენობით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში 8[illegible]7.000 მან., სომხეთის სსრ-ში—383.000 მან. და საქართველოს სსრ-ში—1,265.900 მან.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა:

ა) უნდა დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სასოფლო-სამეურნეო ბანკებს—თავიანთ განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვეშ მიიღონ საკოლმეურნეო საჯიშო და მეცხენეობისა სასაქონლო ფერმებში მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობა, უზრუნველჰყონ-რა ეს მშენებლობა სახსარით და საშენი მასალით პირველ რიგში;

ბ) უნდა მოაწყონ, მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობის გეგმის შესასრულებლად, ადგილობრივი საშენი მასალის (ქვა, ქვიშა, ხეტყე და სხვა მისთ.) ფართო მობილიზაცია და დამზადება—ისეთი ანგარიშით, რომ შემოსაზიდი საშენი მასალა გამოყენებულ იქნეს მინიმალური რაოდენობით;

გ) უნდა დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა წარმოებული მშენებლობისათვის და შეამოწმონ ხოლმე ადგილებისათვის თავის დროზე დამტკიცებული საშენებლო გეგმებისა, ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვების მიწოდება;

დ) უნდა დაავალონ საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—თვალყური მიადევნონ, რათა მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობა სწარმოებდეს დამტკიცებული გეგმების მიხედვით, და აკრძალონ კოლექტიურ მეურნეობებში გეგმაგარეშე მშენებლობა.

5. პასუხისმგებლობა მეცხოველეობისათვის საჭირო სადგომების მშენებლობის მსვლელობისათვის დაეკისროს: რესპუბლიკებში—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს (მეცხოველეობის სამმართველოებს), ხოლო რაიონებში—საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, დაევალოს-ოა მათ სასტიკად შეამოწმონ ხოლმე მიღებული საშენი მასალის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება და პასუხისგებაში აძლიონ ის პირნი, ვინც მეცხოველეობის მშენებლობისათვის წარმართულ საშენ მასალას სხვა საჭიროებისათვის გამოყენებას (კომუნალური, საგზაო და სხვა მისთ).

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოისმინონ ა/წ. მაისის 20-მდე მოხსენებანი საველტერინარო მშენებლობისა და კოლექტიურ მეურნეობებში საქონლის სადგომების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და უზრუნველჰყონ საჭირო ღონისძიებებით აღნიშნულ მშენებლობათა დაუცადებელი მსვლელობა და თავის დროზე დამთავრება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. მაისის 13.
ტფილისი.

საქ. სახკომსაბჭოს სტამბა

მთავლ. № 3911 დაკვ. № 1582 ტირაჟი 800 ც.